1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (392)

1973 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (392) სექტემბერი 1973 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის საქარხნო რაიონში სახალხო სასამართლოს შექმნისა და ქ. თბილისის საქარხნო და 26 კომისრის რაიონებში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის საქარხნო რაიონში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

განყოფილება მეორე

179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“. დაჯილდოების შესახებ.

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

12196

ეროვნული ბიბლიოთეკა

181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ი. ე. ქავქარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ რ. ნ. ასაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. მ. კრეპსის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

186. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. ქინქლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ახალაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. თ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

172 ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მამია ამბერკის ძე **მეგრელიშვილი** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

173 ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მამია ამბერკის ძე **მეგრელიშვილი** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ კონდრატის ძე **მაღრაძე** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ. № 12, მუხ. 202-ე) შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-18 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მამაკაცებს, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, ათავსებენ იმ მსჯავრდებულთაგან განცალკევებით, ვინც წინათ მოიხადა თავისუფლების აღკვეთა, არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულთ და მძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულთ ვადით არაუმეტეს სამი წლისა — იმათგან განცალკევებით, ვინც პირველად არის მჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის სამ წელზე მეტი ვადით“.

2. 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, და რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს სამი წლისა, აგრეთვე ქალები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, ანდა სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით“.

3. 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით“.

4. 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საპყრობილეში სასჯელს იხდიან:

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოხდით, პირები, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ჩაიდინეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, პირები, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ჩაიდინეს სხვა მძიმე დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით;

პირები, რომლებიც ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე გადმოყვანილი არიან შრომა-გასწორების კოლონიებიდან“.

5. 37-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებსაც არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, და რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს სამი წლისა, აგრეთვე მდედრობითი სქესის ყველა მსჯავრდებული არასრულწლოვანნი“.

6. 38-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, ან მძიმე დანაშაულისათვის მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე გადმოყვანილი არიან საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს ენიჭებათ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დაჯარიმების უფლება“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ. № 4, მუხ. 80; 1966 წ. № 8, მუხ. 132; 1967 წ. № 6, მუხ. 350; 1968 წ. № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14; 1969 წ. № 10, მუხ. 182; 1970 წ. № 5, მუხ. 73; 1972 წ. № 8, მუხ. 164 და № 9, მუხ. 191) მე-15 მუხლის მეათე აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო სანიტარიული ინსპექციის ორგანოებს — სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნააღმდეგო წესების დარღვევისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით: „ოთხასამოცდა და დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას, — სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 ქ. თბილისის საქარხნო რაიონში სახალხო სასამართლოს შექმნისა და საქარხნო და 26 კომისრის რაიონებში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე საქარხნო რაიონის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ქ. თბილისის საქარხნო რაიონში შეიქმნას სახალხო სასამართლო.

2. ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 4 სახალხო მოსამართლით, ხოლო 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოსი — 5 სახალხო მოსამართლით.

3. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოში არჩეულ ორ მოსამართლეს შეუნარჩუნდეს რწმუნებანი ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოში.

4. ამ ბრძანებულების შესაბამისად სათანადო ცვლილებები იქნეს შეტანილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებაში „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 ქ. თბილისის საქარხნო რაიონში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის საქარხნო რაიონში სახალხო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების მე-13 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ორი სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1973 წლის 14 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მილიციის სერჟანტი სარდიონ ალექსანდრეს ძე **მანჩხაშვილი** მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგამომძიებლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:**

1. რევაზ ვიქტორის ძე **ყიფიანს** — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ომარ დავითის ძე **წულაიას** — წყალტუბოს რაიონის პროკურორის თანაშემწეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

181 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგამომძიებლო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

1. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **აფხაზიშვილი** — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი.

2. გიორგი ნესტორის ძე **ლობჟანიძე** — ლავოდეხის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი.

3. თამარ იოსების ასული **ნუცუბიძე-ივანოვა** — თელავის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი.

4. აპოლონ ქიტესას ძე **ფიროსმანიშვილი** — წითელწყაროს რაიონის პროკურორი.

5. ოთარ მიხეილის ძე **ჯაფარიძე** — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 11 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 მწერალ ი. ე. ქავჭარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, მწერალი ეროდიონ ესტატეს ძე ქავჭარაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 მწერალ რ. ნ. ასაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი რევაზ ნიკოლოზის ძე **ასაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

185 ამხ. ბ. მ. კრეპსის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის კინოოპერატორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბორის მიხეილის ძე **კრეპსი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

186 ამხ. მ. მ. ქინქლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გუდაუთის ავტომემკვეთებელი ქარხნის დირექტორი ამხ. მიხეილ მელიტონის ძე ქინქლაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

187 ამხ. ვ. გ. ახალაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი ამხ. ვასილ გიორგის ძე **ახალაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 27 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

188 ამხ. გ. თ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ქაღალდის, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გრიგოლ თეოფილეს ძე **გელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 27 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე განიხილა ადიგენის, თიანეთისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში სანოტარო საქმის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ადიგენის, თიანეთისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სანოტარო საქმის მოსაწესრიგებლად.

ამასთანავე, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, აღნიშნული საბჭოების აღმასკომებს სანოტარო მოქმედებათა შესრულების საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა უზრუნველყოფილი არ არის სანოტარო რეესტრებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებით; არ აქვთ ინსტრუქციები მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, სახელმწიფო ბაჟის შესახებ და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სანოტარო მოქმედებებს აწარმოებენ ძველი ფორმის სანოტარო რეესტრებში, ხოლო თიანეთის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში სანოტარო მოქმედებების რეგისტრაცია წარმოებს უბრალო ჟურნალებსა და რვეულებში.

თიანეთისა და ჩხოროწყუს რაიონებში დარღვეულია მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნა — სანოტარო რეესტრები არ არის ზონარგაყრილი, ფურცლები დაუნომრავია, ხელმოუწერელი, დაულუქავი, არა აქვთ დასმული ბეჭედი.

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში, ხშირად არ ინახავენ დამოწმებული დოკუმენტებისა და გარიგებების თითო ეგზემპლარს. სახელმწიფო ბაჟს ახდევინებენ დამოწმებული დოკუმენტის თუ გარიგების მხოლოდ ერთი და არა ყველა ეგზემპლარისთვის, ამავე დროს არ ითვალისწინებენ თითოეული ეგზემპლარის გვერდების რაოდენობას. აღმასკომებში აჭარბებენ დებულებით და ინსტრუქციით მინიჭებულ უფლებებს და ამოწმებენ სახლების ნასყიდობის და ნაჩუქრობის ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა დამოწმების უფლება, თანხის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს აქვთ.

მაგალითად, თიანეთის სადაბო საბჭოს აღმასკომმა 1973 წლის 31 იანვარს დაამოწმა სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ სახლის ღირებულება შეადგენდა 1500 მანეთს; ასევე ღულელების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1972 წლის 2 ოქტომბერს დაამოწმა სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ღირებულება შეადგენს 5000 მანეთს.

ჩხოროწყუს სადაბო საბჭოს აღმასკომმა 1971 წელს სულ დაამოწმა სახლის ნასყიდობის 2 ხელშეკრულება. მათ შორის ერთის ღირებულება შეადგენდა 12.250 მანეთს, ხოლო მეორისა — 6. 000 მანეთს. ამავე საბჭოს აღმასკომმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1973 წელს არასწორად დაამოწმა სახლის ნაჩუქრობის ხელშეკრულება და არ გადაახდევინა სახელმწიფო ბაჟი.

თიანეთის რაიონში სახლების გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს მოქალაქეებს არ სთხოვენ ყველა საჭირო დოკუმენტს.

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო ბაჟის სწორად გაანგარიშებისა და გადახდევინების საკითხს. ამის შედეგად ჩხოროწყუს სადაბო საბჭოს აღმასკომმა 1971, 1972, 1973 წლებში სახელმწიფოს დააკლო 571 მანეთი და 89 კაპიკი.

ირღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის და მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნა ანდერძის საიდუმლოების შენახვის თაობაზე. თიანეთის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ანდერძებს ამტკიცებენ აღმასკომის სხდომებზე, ნაცვლად იმისა, რომ ისინი სანოტარო წესით დაამოწმოს აღმასკომის თანამდებობის პირმა.

ადიგენის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომის მუშაკები ამოწმებენ პასპორტების, დიპლომების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების და საშუალო სკოლების დამთავრების მოწმობების და ატესტატების ასლებს, რისი უფლებაც მათ არ აქვთ. მარტო გასულ და მიმდინარე წლებში დამოწმებულია 226 დიპლომის, მოწმობის, ატესტატის და 234 პასპორტის ასლი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავჯდომარეები და მდივნები ვერ ერკვევიან სანოტარო საქმის წარმოების საკითხებში, ხოლო რაიონული საბჭოების აღმასკომები და იუსტიციის სამინისტრო სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ მათ სანოტარო მოქმედებათა წარმოების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად; საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაკებთან ერთად ადგილებზე პერიოდულად შეამოწმონ სანოტარო მოქმედებათა სისწორე და დროულად მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა, მიიღოს საჭირო ზომები სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის მტკიცედ დაცვისათვის — მოაწყოს ამ საკითხებზე აღმასკომის მუშაკთა თათბირ-სემინარები, ჩაუტაროს მათ მოხსენებები, კონსულტაციები და სისტემატურად გაუწიოს კონტროლი სანოტარო მოქმედებათა შესრულებას;

უზრუნველყოს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები სანოტარო რეესტრებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებით, ყველა საჭირო ინსტრუქციით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიეცათ დავალება უახლოეს დროში უზრუნველყონ, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასკომებმა სანოტარო საქმის წარმოება თავიანთი გადაწყვეტილებებით ადგილობრივ კისრონ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთ; შეისწავლონ სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში სანოტარო მოქმედებათა შესრულების მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ იუსტიციის სამინისტრომ მიმდინარე წლის ბოლომდე ჩაატაროს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა და მდივანთა ზონალური თათბირ-სემინარები სანოტარო საქმის პრაქტიკულ საკითხებზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის განმარტებას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ინსტრუქციით სახელმწიფო ბაჟის შესახებ; ამასთან, შეამოწმოს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების სისწორე.

*
* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მოზარდთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში გატარებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა განაპირობა მოზარდთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება.

უმრავლეს საწარმოებში იცავენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოზარდთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის, შრომის რეჟიმის და სამუშაოს ხასიათის შესახებ. მოზარდი მუშების უმრავლესობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩაბმულია სწავლების სხვადასხვა ფორმაში.

ბევრ საწარმოში ფართოდაა დანერგილი შრომითი და მორალური სტიმულირების ისეთი საინტერესო ღონისძიებები, როგორიცაა: სამუშაოზე მოზარდის საზეიმო ვითარებაში მიღება, დაბადების დღის და პირველი ხელფასის აღნიშვნა. ეწყობა აღმზრდელობითი ხასიათის სხვადასხვა ღონისძიებანი: მასობრივი ექსკურსიები, ახალგაზრდული საღამოები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, შრომის ვეტერანებთან და სხვა.

ამასთან ერთად, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროების რიგ საწარმოში მოზარდთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში არ არის დაწესებული ჯაჭვანი მოზარდთა სამუშაოზე მისაღებად, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები (მახარაძის № 1 და № 2 ჩაის ფაბრიკები, ქ. ქუთაისის საკონსერვო ქარხანა, ქ. თბილისის კამვოლური დართვის კომბინატი და ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა).

ხშირად, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დებულების საწინააღმდეგოდ, არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღებას არ უთანხმებენ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას. ასეთ დარღვევებს ადგილი აქვს მახარაძის ჩაის № 1 და № 2 ფაბრიკებში, ქ. ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში, ქ. თბილისის ჩაის გადამწონ და კამვოლური დართვის ფაბრიკებში და სხვაგან.

ქ. თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში, ცხიმკომბინატში და კამვოლური დართვის ფაბრიკაში არ არის დაცული შრომის კანონმდებლობის მოთხოვნა სამუშაოზე მიღებისას არასრულწლოვანთა სამედიცინო შემოწმების შესახებ, ხოლო ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში საერთოდ არ წარმოებს მათი სისტემატური სამედიცინო შემოწმება. მოზარდთა შრომის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას ადგილი აქვს მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკასა და ქ. ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში, სადაც სამუშაოდ ღებულობენ მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი. ანალოგიური დარღვევებია ავჭალის შუშის ქარხანაში, ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში და ქ. თბილისის ცხიმკომბინატში.

ქ. თბილისის კონიაკის ქარხანაში მუშაობს ორი არასრულწლოვანი, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალულია კანონმდებლობით.

როგორც წესი, საწარმოთა ხელმძღვანელები მოზარდთა სამუშაოდან განთავისუფლების საკითხს არ უთანხმებენ მოზარდთა შრომის დაცვის კომისიებსა და აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

განსაკუთრებით უხეშად ირღვევა არასრულწლოვნათა სამუშაო დროის ხანგრძლივობის კანონით გათვალისწინებული ნორმები. კერძოდ, ქ. თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში არასრულწლოვანები ნაცვლად 7 საათისა მუშაობენ 8 საათს, მათვე ამუშავებენ მეორე ცვლაში და დასვენების დღეებში, ბორჯომის № 2 ჩამომსხმელ ქარხანაში 6 საათის ნაცვლად არასრულწლოვანებს ამუშავებენ 7 საათს და ისიც ღამის ცვლაში.

ანალოგიური მდგომარეობაა ქ. გორის ბამბეულის კომბინატში. ნაცვლად იმისა, რომ არასრულწლოვანებს შვებულება მიეცეთ ზაფხულზე და 30 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, ხშირად მათ შვებულებას აძლევენ წლის სხვა პერიოდში 17-18 დღის ხანგრძლივობით (ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.).

ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ დიდია არასრულწლოვანთა დენადობა. ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში 1972 წელს და 1973 წლის პირველ ნახევარში 87 არასრულწლოვანიდან განთავისუფლებულია 47, მათ შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სამუშაო თვითნებურად მიატოვა 31 არასრულწლოვანმა. პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში ამავე პერიოდში მიღებული 147 არასრულწლოვანიდან სამუშაოდან წავიდა 30, ხოლო გორის ბამბეულის კომბინატში — 153-დან 52 არასრულწლოვანი.

ქ. ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ადმინისტრაცია არ უნაზღაურებს არასრულწლოვანთ სასწავლებელში მიმოსვლის ხარჯებს.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია საზეიმო ვითარებაში არ აღნიშნავს არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღებას, პირველ ხელფასს, თანრიგის ამაღლებას. სათანადო ყურადღება არ ექცევა წარმოების მოწინავე მოზარდთა პოპულარიზაციას, მათი სურათები არ არის გამოკრული საპატიო დაფაზე. არასაკმარისად მუშაობენ მოზარდთა შორის შრომისა და პროფესიისადმი სიყვარულის დანერგვისათვის.

არასრულწლოვანთ, რომლებიც შემჩნეული არიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში, არ ყავთ დანიშნული საზოგადოებრივი აღმზრდელები და მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა ყოველთვის არ ხდება საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი მათი მუშაობის, სწავლის თუ საცხოვრებელ ადგილზე.

ზოგიერთ საწარმოში სუსტადაა დაყენებული მოზარდთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. არ იგრძნობა მზრუნველობა მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროების კოლეგიების მსჯელობის საგანი არ ყოფილა მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები და მათთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ნაკლებად ინტერესდებიან მათ ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებში მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობით (ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის და პირველი მაისის სახელობის რაიონული საბჭოების აღმასკომები და სხვ.). რესპუბლიკის პროკურატურა და მისი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო საპროკურორო ზედამხედველობას მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროებს:

პერიოდულად განიხილონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა და მიიღონ სათანადო ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

მოსთხოვონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მოზარდთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დაცვა, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად; ამასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, აღმზრდელობითი ხასიათის სხვადასხვა ფორმების და მეთოდების გამოყენებით, სისტემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურად ჩაუნერგონ ახალგაზრდებს სიყვარული შრომისადმი, პროფესიისადმი, პასუხისმგებლობის გრძნობა თავიანთი მოვალეობის შესრულებისადმი.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ:

პერიოდულად შეამოწმონ მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში არასრულწლოვანთა შრომის დაცვის ხაზით შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობა;

არსებითად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისადმი. მათი საშუალებით სისტემატურად შეამოწმონ და აღძასკომებისა და საბჭოს სესიების მსჯელობის საგანი გახადონ წარმოებაში მოზრდილ ახალგაზრდების შრომის, სწავლის და ღასვენების საკითხები.

რეკომენდაცია მიეცა საქართველოს სსრ პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოს გააძლიეროს კონტროლი საწარმოებისა და დაწესებულებების პროფკავშირული ორგანიზაციების და თანამდებობის პირთა საქმიანობაზე არასრულწლოვანთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დაცვისათვის, განიხილოს ამ საქმეში სამართალდარღვევის თითოეული ფაქტი და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი კანონის ყველა მოთხოვნის დასაცავად.

საქართველოს სსრ პროკურატურამ და მისდამი დაქვემდებარებულმა ორგანოებმა გააძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა არასრულწლოვანთა მიმართ შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვისათვის და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მიიღონ ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაუშვებენ კანონის დარღვევას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას დაევალა გააძლიეროს კონტროლი და მეთოდური დახმარება საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისადმი.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროებს მიეცათ დავალება ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1974 წლის ბოლოს.

*
* *

ამავე სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარობის შესახებ და აღნიშნა, რომ თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში გარკვეული მუშაობა ტარდება მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებში მიღებული განცხადებების და საჩივრების უმეტესობა განხილულია კანონით დადგენილ ვადებში და მათში აღძრული საკითხები ძირითადად გადაწყვეტილია სწორად. მეტი ყურადღება ექცევა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და რეგისტრაციის საქმეს.

რაისაბჭოს აღმასკომი პერიოდულად ისმენს საკითხს რაიონის ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, აღმასკომის განყოფილებებსა და სამმართველოებში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეობებში ყოველთვის მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან კოლწევრთა განცხადებებსა და საჩივრებს, რის შედეგადაც ირღვევა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის დაწესებული ვადები და ჭიანურდება დაყენებული საკითხების გადაწყვეტა.

მაგალითად, სოფელ ირაგას კოლმეურნეობაში 1973 წლის 1 აგვისტომდე მიღებული 31 განცხადებიდან 8 განხილულია დადგენილი ვადის დარღვევით, ხოლო 3 განცხადება რეაგირების გარეშეა დატოვებული. ასეთსავე მდგომარეობაშია სოფელ ივანოვკის კოლმეურნეობის წევრთა განცხადებები.

ხშირ შემთხვევებში განცხადებებს იხილავენ დიდი დაგვიანებით.

ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში განცხადებები მიწის ნაკვეთის გამოყოფის, კოლწევრად მიღების და გზის შემკეთებლად სამუშაოდ გაშვების შესახებ გადაწყვეტილ იქნა სამი თვის შემდეგ.

ანალოგიური მდგომარეობაა ასურეთის, ბორბალოსა და კლდეისის კოლმეურნეობებში.

12196

განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვას კოლმეურნეობებში ხელს უშლის ისიც, რომ რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო ზოგჯერ აგვიანებს კოლმეურნეთა განცხადებებისა და საჩივრების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას.

ნაკლოვანებებია განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და მათი რეგისტრაციის საქმეში. მაგალითად, კოდის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ი. დალაქიშვილი) მიმდინარე წელს რეგისტრირებული არ არის კოლწევრთა 13 განცხადება, თუმცა ისინი განხილულია გამგეობის სხდომებზე. ანალოგიური მდგომარეობაა ა. ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობაშიც, ხოლო ივანოვკის, ირაგასა და კლდეისის კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა განცხადებები და საჩივრები საერთოდ არ არის რეგისტრირებული და აღრიცხული.

ზოგჯერ კოლწევრთა განცხადებები და საჩივრები გამოწვეულია იმითაც, რომ კოლმეურნეობათა გამგეობებს გამოაქვთ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები, აჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ითვისებენ კოლწევრთა საერთო კრების ფუნქციებს.

მაგალითად, სოფელ ირაგას კოლმეურნეობაში კოლწევრთათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, შეცვლა ან შევსება ხდება არა საერთო კრების დადგენილებით, არამედ გამგეობის დადგენილებით.

ქ. მარქსის სახ. ... საჯაროობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე კოლმეურნეობაში, „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების წინააღმდეგ კოლმეურნეობის გამგეობა თვითონ იხილავს და საზღვრავს ნათესების წანახედით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას და ჯარიმის ოდენობას.

ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ივანოვკის კოლმეურნეობაშიც.

სოფელ კლდეისის კოლმეურნეობის გამგეობამ 1972 წლის 4 ივნისს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად მწყემსი, რომელიც პირნათლად არ შეასრულებს გამგეობის დავალებას, განთავისუფლდება სამუშაოდან და ჩამოეწერება ერთი თვის ხელფასი.

გამგეობის იმავე სხდომაზე დადგენილია, რომ კოლწევრს, რომელიც უმიზეზოდ გააცდენს სამუშაოს, ჩამოაწერენ: მთიბავს — დღეში 5 მანეთს, ხოლო მფოცხავს — დღეში 3 მანეთს.

ცალკეული კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები მიღებული აქვთ აგრეთვე კოდის, ბორბალოსა და ასურეთის კოლმეურნეობებს.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი და მისი სოფლის მეურნეობის სამმართველო ჯერ კიდევ ვერ იღებენ ყველა საჭირო ზომას კოლწევრთა განცხადებებისა და საჩივრების გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, ნაკლებად ზრუნავენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების სამართლებრივი მომზადების დონის ამაღლებისათვის. რაიონში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მშრომელთა წერილების განხილვისა და კოლმეურნეობების და ორგანიზაციების მიერ მიღებულ დადგენილებათა კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობის საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს უზრუნველყოს კოლმეურნეობებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების განუხრელად შესრულება, რისთვისაც:

რეგულარულად შეისწავლოს კოლმეურნეობებში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. განცხადებებისა და საჩივრების შემოწმებაში ფართოდ ჩააბას ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები და აქტივი;

აამაღლოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რათა მათ მეტი ყურადღება მიაქციონ კოლწევრთა განცხადებების და საჩივრების დადგენილ ვადაში განხილვისა და მათში აღძრული საკითხების დროულად გადაწყვეტის საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაზოგადოს და შეისწავლოს ის საკითხები, რომელთა შესახებ კოლწევრები ხშირად სწერენ განცხადებებსა და საჩივრებს, გამოავლინოს ამ საჩივრების გამომწვევი მიზეზები და მიიღოს საჭირო ზომები მათი აღმოფხვრისათვის;

აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად მოისმინოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოხსენებები კოლწევრთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტის მდგომარეობის შესახებ;

გაზარდოს მომთხოვნელობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც აჭიანურებენ და გულისხმიერად არ ეკიდებიან კოლწევრთა განცხადებებსა და საჩივრებს;

სერიოზული ყურადღება დაუთმოს კოლმეურნეობებში განცხადებებისა და საჩივრების სწორი აღრიცხვის, რეგისტრაციის საქმეს, აღრიცხვის გარეშე არ დარჩეს არც ერთი განცხადება და საჩივარი;

სისტემატურად იზრუნოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების სამართლებრივი მომზადების დონის ამაღლებისათვის. ცალკეული მოქმედი კანონებისა და ნორმატიული აქტების განმარტების მიზნით, პროკურატურის, სასამართლოს, ადვოკატურის მუშაკთა მონაწილეობით ჩაატაროს სემინარები, საუბრები და მოხსენებები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა პერიოდულად შეისწავლოს და კოლეგიის სხდომების მსჯელობის საგანი გახადოს საკითხი კოლმეურნეობებში კოლწევრთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ. დასახოს ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკის პროკურატურას მიეცა დავალება გააძლიეროს ზედამხედველობა კოლმეურნეობათა გამგეობებისა და კოლწევრთა საერთო კრებების მიერ მიღებულ დადგენილებათა კანონიერებაზე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 28 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 278 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		37
ქ. რუსთავიდან		4
ქ. ჭიათურიდან		19
ახალქალაქის	რაიონიდან	46
ბოლნისის	„	13
გარდაბნის	„	67
ვანის	„	8
ზუგდიდის	„	7
მცხეთის	„	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯონიკიძის	რაიონიდან	11
ქარელის	„	3
ყვარლის	„	16
ცხაკაიას	„	3
ჩხოროწყუს	„	14
ხაშურის	„	6
სამხ. ოსეთის ა/ო		23

ხოლო 28 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია 347 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისი		9
ქ. რუსთავი		3
ქ. ჭიათურა		25
ადიგენის	რაიონი	6
ბოგდანოვკის	„	16
ბოლნისის	„	16
გარდაბნის	„	88
გორის	„	24
თელავის	„	3
მარნეულის	„	42
საჩხერის	„	33
ცხაკაიას	„	17
წალკის	„	36
წალენჯიხის	„	20